
ეფემერიდა
მათიანი
1917

75 p.

1. [illegible] — [illegible] № 13
2. 3. [illegible] — [illegible] № 18
3. [illegible] № 41
4. [illegible] № 45
5. [illegible] № 11
6. [illegible] № 43
7. [illegible] № 40

№ 50

№ 41

[illegible] № 40

[illegible] № 3 4 9 11
[illegible] № 6
10. [illegible] № 32
11. [illegible] № 36
12. [illegible] № 49
13. [illegible] № 18
[illegible] № 27

ეშჰაკის ქათრანი

1917 წ.

[illegible] N 4, [illegible] 8

[illegible] (5

กรุณาส่งต่อ

ข้าพเจ้าขอมอบ
ตำรับตำราอายุรเวท
ให้แก่ ห้องสมุดวิทยาลัย
ศิริราชพยาบาล (ศิริราช-
มหาวิทยาลัย) (ชุด เพื่อการศึกษา
ค้นคว้า)

ดร.ศุภชัย เจนวิทยการ

კვირა, 1 იანვარი 1917 წ. | რედაქციის აადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6. | ფასი 15 კაპ.

ეშეკილ

№ 1

1917

შინაარსი: **ეშმაკი** — პროტექცია; **მორიელი** — საახალწლო მილოცვები; **კოლო** — საახალწლო შარადა; **ხუმარა** — საახალწლო ნობათი; **ლუკიანეს ოხოლი** — სადღესასწაულო ნატვრა; საახალწლო მილოცვები: **ხუმბაგი** და **დაფნისი** და **ქლოია** — ქუთაისი; **მორიელი** — თფილისი; **X** — ჭიათურა; და სხვა და სხვა სურათები.

ძველი და ახალი

5693
Академия наук СССР
Библиотека-Музей

ძველი წელი. აწ შევიდობით, შვილო,
ჟამი აღმესრულა...
ფარაჯას გიტოვებ,
თუ ის არ გესრულა.

გაუძელ, როგორმე
გაიტანე თავი...
ისტორია დაგმრჩა
ცოტა შესათხზავი.

პროტესტია

უნდა გამოგიტყდე,—ეს გრძელ წვერა, დახავსებული მოხუცი წინეთაც მინახავს სადღაც. კარგათ კი ვერ აღმიდგენია მეხსიერებაში, თუ სა_ ან როდის მინახავს იგი.

ის უთუოდ იმერელია.

— არა, ის ქართველი უნდა იყოს...

— ვინ იცის, იქნებ კახეთიდან ვიცნობ.

— შეიძლება ქართველი სრულიადაც არ იყოს; იმისი ერთობ გრძელი წვერი და ფაფარივით დაყრილი თმა ძველს ებრაელს უფრო მოგაგონებს.

ასე ვეკამათებოდი ჩემს თავს, ვიდრე მოხუცი კარებს შამოაღებდა, მოსასხამს მოიხდიდა, ხელებს ჩაიფშვნეტდა და ჩემს წინაშე წარმოსდგებოდა.

— ეშმაკი თქვენა ბრძანდებით?

— დიახ, მე გახლავარ. ახლოს მობრძანდით, აი სკამი ინებეთ.

— ახირებული სახელი აგირჩევიათ.

— ყველაფერი გემოვნებაზე ჰკიდია. სასურველია ვიცოდე ვის ვემუსაიფები.

— ჟამი.

— როგორაო?

— ჟა-მი.

— ახირებული და უცნაური სახელი სწორეთ თქვენ აგირჩევიათ.

— დაგეთანხმებოდით, რომ მის არჩევაში მე თუნდაც მცირეოდენი მონაწილეობა მიმეღო. სხვათაგან ბოძებულია.

— უცნაურობას ამით არ აფერი აკლდება. მართალია ეშმაკი შიშსა გვრის ხალხს, მაგრამ ჟამის გაჩენა ჩვენში უდიდეს უბედურებათ არის მიჩნეული.

— საჭიროთ ვთვლი განვმარტო, რომ ჩემს სახელს „შავ ჭირთან“ და „შავ-ჟამთან“ საერთო არაფერი აქვს, იგი სულ სხვა ძირისაგან წარმოსდგება, მაგრამ ამ ჟამად მე თქვენთან სულ სხვა საქმეზე ვარ მოსული და თუ ნებას მიბოძებთ...

— ბრძანეთ, ბრძანეთ... თუ კი შემეძლება...

— შვილი მყავს ავათ...

— უჰ,... საბრალო!

— სულ რამოდენიმე საათი და სულსაც დალევს...

— რას ბრძანებთ!.. ნუთუ შველა არ შეიძლება? იქნებ გსურთ გომართელთან მიგეგზავნო?..

მოხუცს სახე არ შესცვლია, მხოლოდ მარცხენა თვალის გასწვრივ ერთმა ძარღვმა ოდნავ გაითამაშა და სახე ღიმილის ელვასავით გაანათა.

— ტყუილი ნუგეშია! მე ვიცი, რომ იმას ველარაფერი იხსნის. ზოგიერთებმა კიდევაც გამოაცხადეს იმისი სიკვდილი.

— შეიძლება თქვენ მართალიც იყოთ, მაგრამ ჩვენ ყოველ შემთხვევაში ჩვენი საცდელი არ უნდა მივაკლოთ: თუ უშველის რამეს ხომ კარგი, თუ არა და გულს მაინც შევაჯერებთ.

— გარწმუნებთ, მთელი ქვეყნის ექიმები მთელი ქვეყნის აფთიაქებითურთ მას სიკვდილისაგან ვნღარ იხსნის. ეს არც პირველი და მით უმეტეს არც უკანასკნელი მაგალითია ჩემს სიცოცხლეში; მიტომაც შევეჩვიე და ცრემლი შემაშრა.

— მაშ რა ვქნათ, რა გსურთ ჩემგან?

— მე მინდა თქვენი დახმარება, რათა მიცვალებული ქართულ პანთეონში დაიკრძალოს.

— პანთეონში?!

— დიახ, ქართულ პანთეონში. თქვენ შეგიძლიათ ამის მოხერხება.

— არა მგონია, მე თქვენი თხოვნის ასრულება შემეძლოს. აქ ისეთი გავლენიანი პირების აზრია საჭირო, როგორიც არიან...

— ვიცი, ვიცი. ბავშვი აღარა ვარ ასეთი უბრალო რამ არ მესმოდეს. მე მხოლოდ გზის ჩვენება მინდა და თქვენგან აი ამ დახმარებას მოვითხოვ.

— დიდის სიამოვნებით. პირველ ყოვლისა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას უნდა მივმართოთ. იმათ სიტყვაზე ძლიერ ბევრია დამოკიდებული.

— ნუთუ ისეთი უგულონი არიან, რომ დამწუხრებული ჭირისუფლის მდგომარეობაში არ შევლენ?

— მაინც ნიადაგის მომზადებაა საჭირო. თქვენ მიმართეთ ქ-ნ ნატოს. ის დიდი მეგობარია ქ-ნი თინათინისა, ხოლო ეს უკანასკნელი შვილს უნათლავს გამგეობის წევრის სოლომონის მეუღლეს.

— ჩინებული აზრია, მაგრამ ქ-ნ ნატოსთან ვინ მივაგზავნო?

— გრიგოლ ყბედიშვილი მისი განუყრელი მეგობარ თანამგზავრია. აგარაკზედაც კი ერთად დადიან.

— თქვენ ის მიბრძანეთ: ხელცარიელი მისვლა შეიძლება?

— მისვლა შეიძლება, მაგრამ შედეგი არ ექნება სასურველი. ქართმს რასაკვირველია არ იღებს, მაგრამ საჩუქარს თუ რასმე მიართმევ ამით არაფერი დაშავდება.

— ეს ერთი კაცი... სხვა?

— აღნიშნულ საზოგადოებაში მასზე ბევრია დამოკიდებული. საჭიროა ახლა კულტურულ საზოგადოებათა კავშირში ვიშოვოთ ვინმე.

— იქ მე თითქმის არავის არ ვიცნობ.

— პირადი ნაცნობობით ან კი რა უნდა გამოვიდეს. საჭიროა პროტექცია. ჩემის აზრით თქვენ უნდა მიმართოთ კნეინა დარეჯანს. აი პოეტი ქალი რომაა. მის უფროს ქალს კარგის თვალით უცქერის თავადი ლევან ჯორაძე, ხოლო ამ უვანასკნელის შეუღლესთან ფრიად კეთილ განწყობილებაშია კავშირის გამგეობის წევრის ძმა თადეოზი. თუ თადეოზი მოისურვებს...

— მიკვირს, რატომ არ უნდა მოისურვოს, მთავრობის საწინააღმდეგოს ხომ არაფეს ვსთხოვთ დიდი საქმეა ხმა დაგვაწიოს?

— დიდი არ არის, მაგრამ თავის შეწუხება მაინც სჭირია.

— ძალიან კარგი... ერთი ვახშამი გაუმართოთ ახალ კლუბში...

— ოოო! ჩინებული აზრია. მაგ საშუალებით დრამატიულ საზოგადოების გამგეობაშიაც ვიშოვით. ვისმე.

— განა ისიც საჭიროა?

— რასაკვირველია! თქვენ უნდა ინახულოთ პრაპორშჩიკ რევაზ ისარაშვილი, რომელიც მუდამ თანასდევს მსახიობ ქალს თეკლე ზეფირელს. პრაპორშჩიკ რევაზს ქეიფი ძლიერ უყვარს და თუ ამ მხრივ მოვინადირებთ, ის აიძულებს თეკლე ზეფირელს ვანო კოდალაძის საშუალებით რაც უნდა ის ათქმევინოს გამგეობის წევრს ნოშრევან ჩიპურტანიძეს.

— ანტონის სიტყვას აქვს რაიმე მნიშვნელობა?

— უეჭველათ. იმედიცა მაქვს, რომ სიტყვას უეჭველათ იტყვის. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვენი ვაჟი ღირსი კია პანთეონისა? ხომ იცით იქ რა მოდვაწეები გვისვენია?

— გარწმუნებთ რომ ღირსია. მეტსაც ვიტყვი: მიუხედავათ მისი ხანმოკლე ცხოვრებისა იმდენი ღვაწლი მიუძღვის მას მთელი კაცობრიობის წინაშე, რომ მისი სახელი მითა ჟამში დარჩება.

— საკვირველია სწორრეთ! რამდენი წლისა არის?

— მეთორმეტე თვე უთავდება.

— როგორ? ჯერ ერთი წლისაც არ არის?

— წარმოიდგინეთ, რომ არა. იმედი კი მაქვს, რომ ამ თვესაც გასტანს, მაგრამ შემდეგ კი...

— პირველათ მესმის! ასეთი ნორჩი მოღვაწე ჩვენს ქვეყანას სხვა არა ჰყოლია და ამას დიდი მნიშვნელობა ექნება საპანთეონო კითხვის გადაწყვეტაში.

— რამდენათაც ვიცი, მთელი ქართველი ერი, უშეტეს მისი ეროვნული იდეით გატაცებული ნაწილი, დიდს იმედებს ამყარებდა ჩემს შვილზე.

— რა მხრივ არის თქვენი ვაჟი ეგზომ საყურადღებო?

— მხოლოდ იმედის. მან დასთესა ჩვენში იმედი ეროობისა, იმედი ავტოკეფალიისა და ლამის ავტონომიის იმედს ჩრდილიც მიაყენოს.

— ქონება აქვს რაიმე, რომ რომელიმე ქართულ საზოგადოებას დაუტოვოს?

— არაფერი.

— ეს ძლიერ ცუდია.

— სამაგიეროთ მან ხელი შეუწყო არა ერთისა და ორი ქართველი კაცის გამდიდრებას.

— ეს მაინც სულ სხვაა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ როცა ისინი დაიხოცებიან ხომ დაუტოვებენ რასმე საზოგადოებას?

— დაუტოვებენ, მაგრამ პანთეონშიაც იმათ ჩამარხავენ და არა თქვენს შვილს. სწერს რასმე თქვენი ვაჟი?

— ბევრს, ძლიერ ბევრს.

— მიმართულება მისი?

— ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა.

— მაშ პოეტი ყოფილა

— დრამებსაც სწერს. უნდოდა დაემთავრებია ერთი უდიდეს დრამატიულ ნაწარმოებთაგანი, მაგრამ ველარ მოასწრო. ვაი!...

მოულოდნელათ წამოიძახა მოხუცმა და თვალებზე ხელი მიიფარა.— ის უკვე განესვენა! მწუხარე კილოთი წარმოსთქვა მან. საათს დავხედე. სრული შუაღამე იყო.

— სახელი თქვენი ვაჟისა?

— ის ჯერ მონათლულიც არ არის. მე მათ ნომრებით ვარჩევ, ეს ბიჭი 1916-ტე იყო.

მე თითქო სიზმრებისაგან გამოვერკვიე. საბრალო მოხუცი! ის მართლა ჟამია. მისი სახე მე ბევრგან მინახავს დახატული: გრძელი თმითა და გრძელი წვერებით.

მოწიფული შვილის სიკვდილი ახლის შეძენით გაიქარვა და გლოვასთან შეზავებული ალერსით მიესალამა პატარა მახინჯ არსებას, რომელსაც გულზე პატარა ფირფიტა ეკიდა ზედ წარწერით: — 1917.

ეშმაკი.

ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირს.



ერთმა ხენწიფემ ჯოხები
შეჰკრა და მისცა შვილსაო.
უთხრა:—აბა ჰა თუ გასტეხ
ბოშო შენ ეთრთათ მაგენსო?
მან აქაჩავა ჯოხები,
მარა, პრიწ! ვერ გასტეხაო.

ასე კარგია კავშირი
ქე ზიხარ უზრუნველათო.
ჩვენ დიდი ვგქონდა იმედი
აქლემ ცხოველათ გთვლიდითო,
მარა ვინ მოიფიქრებდა
რწყილს დაბადებდი შენაო.

სოლ. ზურგიელიძე

საახალწლო მილოცვები

თ ფ ი ლ ი ს ი

(ორიოდე სიტყვა)

ეს ორიოდე სიტყვა დიდი აზრის განმარტებას გვსურს მოვახმაროთ. „ეშმაკის მათრახის“ რედაქციამ ერთი დიდებული ნაბიჯი კვლავ გადასდგა ქართველი საზოგადოების გათვითცნობიერებაში. რედაქციის დაულალავმა და ნიჭიერმა წევრმა ბ-ნმა მორიელმა თავით ბოლომდე გადასინჯა ჩვენი უკვდავი მგოსნის სოლომონ ზურგიელიძის თხუზულებათა ტომები, ამოჰკრიფა მუნით საუკეთესო და თანაც ჩვენ საზოგადო დაწესებულებათა მოღვაწეობისათვის შესაფერი ადგილები, ერთ ძვირფას მარგალიტის მძივათ აასხა ისინი და აი საახალწლო ნობათად უგზავნის ძვირფასსა და საყვარელ მკითხველს.

დიდია ღვაწლი ბ-ნი მორიელისა და ვფიქრობთ მკითხველი საზოგადოებაც ჯეროვანათ დააფასებს მას. სოლომონ ზურგიელიძე, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას,—ქართველი ერისათვის ერთგვარი სფინქსი; მისი ჰეშმარიტი არსების ცხად ყოფა, ეს ქართველ ერის ცხოვრების ცხად ყოფაა.

მაშ გულდასმით წავიკითხოთ ქვემორე მოყვანილი ბრძნული ტაეპები; საუკუნო ხსენება შეუ

ალოთ მის გენიოს ავტორს და გუწრფელი მადლობა მის მომწოდებელს ბ-ნ მორიელს.

—

სახალხო მასწავლებელთა კავშირს

სტავლაზე დაფუძნულია
მეცნიერების დარგები...
მო, გავანალთოთ გლეხები
ვილაპარაკოთ ბევრიო.

ქართულ პანთეონს*)

ჰინკები გუდებს ბერვიდენ
ღვინო კი არა ქონდათო:
უკვდავი კაცი თუ არ გყავს
რა საჭიროა პანთეონი?

ქალთა საზ. „განათლება“-ს

ქალი ოჯახის მამაა
უნდა ვასტავლოთ დედებსო...
თუ არ მიხედავს ვოჯახსა
მიეფშუკება კერია.

საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგ.

თავი და თავი საქმეა
ძველი ამბვების წერვაო
ახალი ყველამ კი იცის
ვინც იწერს ჟურნალ-გაზეთებს.

ქართულ სამეურნეო საზოგადოებას

პურია საზდო კაცისა
უმისოთ მოგვშივდებაო ..
თუ კი ბევრი გვაქ პურ-ღვინო
დავჟდეთ და ვილაპარაკოთ.

ქართველ ექიმთა საზოგადოებას

სიკვდილსა ვერვინ გაუსწრებს
ვერც ვერსა დაემალები.
ყოველი კაცი მოკვდება
ამას აშკარათ ვამბობ მე.

საქველმოქმედო საზოგადოებას

რაც მე მაქ, იგი შენია...
რაც შენ გაქ, იგი მე მინდა.
ქველმოქმედება ასეა:
ის ამას აძლევს, ეს იმას.

ნიჭიერ ახალგაზრდათა დამხმარე საზოგადოებას

კუჭი გულისთვის ქუხნაა
გულ-ღვიძლი ტვინის ბურჯია.
კარგი ჭამა და კარგი სმა
კუჭსაც არგებს და ჭკუასაც.**)

ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას

მხატვრობაც დიდი საქმეა
არ უნდა ლაპარაკიო.
მაშ შევიძინოთ ტილონი
მონასტრებს მივაშუროთო.

ქართველ მოღვაწეთა აგარაკს

საცა ბევრია ხეები
ნაძვებისა და სხვა ხისო
იქ უნდა ვგზავნოთ უთუოთ
მოღვაწეები საზაფხულოთა.

ქართულ კლუბებს

ისე არა წვიმს ხშირ-ხშირათ
რაფერაც ჰექს და ქუხნავსო.
ასეა ჩვენი ცხოვრებაც,
მეტს ვყვირით სიტყვიერათო.

კოოპერატივებს

კოპერაციის დუქანი
გავაღოთ თითო ყველამო.
ის ნამეტარი კაია
თუ არ შეჭამეს ფარაო.

ქართველ მხიობებს

მსახიობს იმას ვეძახი
ცხვირ-პირი მოუპარცავსო.
სცენაზე როცა გამოვა
სუფლიორს მისჩერებია.

აფორიზმები ოლოვმოს ზუკგიელიძისა.
ამოკრებილი და მისადგებულია მორიელის-მიერ.

---

*) სიამოვნებით ადვნიშნავთ, რომ „სახალხო ფუურტელი“, ამ ბოდო დროს, სიტყვა „პანთეონს“ ადარ ხმარობს. მის მაგიერ სწერს: „ქართველ მოდვაწეთა სასაფლაო“ს. სასიამოვნოა ეს გარამოება მით უმეტეს, რომ ამავე აზრისა იყო ნეტარ ხსენებული სოდომონიც, რასაც ცხად ჰყოფს ზემოადნიშნული ტაეში.

**) უნდა ადვნიშნოთ, რომ ეს აფორიზმი მრავალი წლით ადრე დაწერილია, ვიდრე „ნიჭიერ ახალგაზრდათა დამხმარე საზოგადოება“ სამეგიტნო დუქანს გახსნიდა ძველი სეფინარის შენობაში.

სასურსათო საკითხი.



სურსათი ყოველგვარიო
დღეს გრძელი კუდით არიო.

რაც უნდა ბევრი ვიმჯელოთ,
ჭამა ხომ მაინც გვინდაო.

სოლ. ზურგიელიძე.

საახალწლო ნოგათი

—

დღეს ჩვენში ბევრსა,
დიდს თუ პატარას,
ვინც კი ორ ლექსს სწერს,
აბამს პარ-ტარ-ას,—
ქურუმათ მოაქვს
თავისი თავი,
თუმც სალაროში
უფრინავს ყვავი.

როცა საკუთარ
თავის ჯიბეში,
(ეს საიდუმლოო
კი დარჩეს ჩვენში)
ველარ პოულობს
სიბრძნის გასაღებს,
უცხოებს პარავს,
თვისათ ასაღებს.
თუთუყუშობა,
იცის, შერჩება
და ისიც მგოსნობს,
ზეკაცს ედრება!

—

ახლა შენ გკითხავ,
ძამია „ჩორტი“,
რომ დაგიღია
ღლაპივით „როტი“,
ამის შესახებ
„დუმაეშ ჩტო ტი“,
ხომ მოუხდება
„განწმენდის“ შოლტი?
ჰო და მათხოვე
მათრახი შენი,
რომ სრულ ვყო ბარეშ
ეს განაჩენი;
არ დავახანო
ბევრი დრო-ჟამი,
რბილ ადგილს დავკრა
თიოოს სამ-სამი. *)

ხუმარა.

---

*) ბევრს, შეიძლება
ეგ ეცოტავოს...
(სქელი ტყავი
აქვს იქნება „ავოს“.)

ეშმაკი.

არდგილოგრივი ენები



არდგილობრივი ენები
გვპირია ფანსიონშიო
ქუთაისში და თიფლისში
ხონში და სამტრედიასო.

სოლ. ზურგიელიძე.

ქუთაისი

წლიურ ანგარიშს ჩვეულებრივათ
ყველა მიმართავს ჩვენს ქვეყანაში,
(ბევრს კი ჰგონია ეს გვეხმარება
ძველიდან ახლის გადაყვანაში).
ვაჭარს ჩოთქი აქვს საანგარიშო,
სხვებს კიდევ თვისი იარაღები,
რითაც იკვლევენ, თუ ვის რამდენი
აქვს შეძენილი და ანაღები.
ჩვენ კი განგებამ დაგვსჯა კალმით
და იარაღით ნაცადით, ამით
მტერს, თუ მოყვარეს მივუსჯით თვისას
და ნამოქმედარს წარსული წლისას
ახალი წელის პირველსა დღესა,
(რომ მომავალში კარგათ მიხვდესა),
გადმოულაგებთ სათითაოთა
და გამოვიწვევთ საქიდაოთა.
მაშ თუ ასეა ტრადიციაში
ნურამც დამტოვებთ მე ნისიაში.
სახელგანთქმულნო, ქუთაისელნო,
ჭკუით დამჯდარნო, დარბაისელნო,
რომ მოგაგონოთ ნაღვაწი თქვენი,
ოფლი ნაღვარი, ტანჯვა მრავალი
და დაგილოცოთ ახალი წლისთვის
ფიქრები თქვენი და გზა სავალი.

ხუნაგი.

—

ქალაქის თვითვართველობ ს

შაქარს ვიწერთ, პურსაც ვიწერთ,
და ვაჭრობა ხელში ვიგდეთ.
ვისაც გვინდა შაქარს მივსცემთ,
ვისაც გვინდა პურსაც ვაჭმევთ.
არ გეგონოთ ასეთ ქცევით,
თითქოს ვისმეს ქრ ამ ებს ვაძლევთ.
ქალაქს თაობს ჩიქოვანი,
აბდიშვილი პურებსაო
და ვინც მათ არ ემონება,
(თუ მას პური ენდომება),
ის ჩამოყრის ყურებსაო.

ხუნაგი.

ქალაქის გამგეობას

თქვენს დიად მოღვაწეობას
ვით ასწერს ჩემი კალამი,
მიიღეთ ჩემგან პირველათ
ახალ-წლის დილის სალამი.
იდიდოს თქვენი სახელი,
„დიადი“ საქმიანობა,
ქალაქისათვის „ზრუნვა“ და
შრომაში „საზრიანობა“.
გისურვებთ, კვალად გეყიდოთ
შავ პურის ფქვილი, დამპალი,
თქვენ კი გეძახოთ სუფრასთან
„არალი, თარი-ჰარალი“.

დაფნისი და ქლოია.

ქართულ თეატრს



ქართული მელპომენაო
ასე გვყავს ახლა ჩვენაო...
ვერც მზეი დაწვავს იმასა
ვერც წვიმა დაასველებსო.

სოლ. ზურგიელიძე.

ძალაძისა და ტრამვაის გამგზეობას.



რაც უფრო მეტათ მოსწურავ
წვენებიც უფრო მისდივა...
ჩვენ უფასო გვაქ ბილეთი
რა გვენაღვლება სხვებია.

სოლ. ზურგიელიძე.

ძ. შ ფ. კ. გამაგრძელებელ საზოგადოების გამგეობას



საათს ჩვენ არა ვცნობილობთ
ცოცხლათ და სულდგმულათო,
მარა იგიც კი მუშავობს
თუ ვინმე კი მას მომართავს.

სოლ. ზურგიელიძე.

„საქართველოს“



ბურჟუაზია კაია
არ უნდა ლაპარიკიო...
ფული აქ... იმას ჩვენ მოგვცემს...
ფული საჭირო არისო.

სოლ. ზურგიელიძე.

ვაჟთა პირველ გიმნაზიას.



აგი მარშინა ისთეა
ლამაზათ აგებულიო,
ვისაც მოხდება კისერში
ქუჩაში უკრავს თავსაო.

სოლ. ზურგიელიძე.

ქ. შ. წ. კ. საზოგადოებას

პირველათ თქვენ ხართ მოსაგონარი,
რადგან მკვდრებს ჩვენში პირველ ვიგონებთ
და ნამოღვაწარს „მკვდარი სულების“
ძალაუნებურ მუდამ ვიწონებთ.
სტამბას რომ ჰყიდით მეტი რა შეგრჩათ?
ვინ გაანათლეთ „განათლებულნო“?
მუშებს უწუნებთ სიტყვა-პასუხსა,
„სიტყვის ხელოვნათ“ დაბადებულნო!..

ხუნაგი.

წ. კ. საზოგადოებას*)

0 0 0

„მეგობარს“

ვინც აგეკიდა მეგობრათ,
ციხეში უკარ თავია.
სიბრძნე-სიცრუის წერისთვის
გაგძარცვეს სამფა ტყავია.
გრიგოლ ლაღიძე და გუცა
ორი წმინდანი ყუდია.
მე აღარ ვიცი, გაზეთი
რა ჯურის ხალხის ბუდეა!..

ხუნაგი.

„ჩვენს მეგობარს“

„მეგობარო“ ახალ-წელში,
კვლავ გისურვებ, გეთხზას ჭორი:
თაღლითობა მიზნათ გქონდეს,
და მყრალობდე როგორც მძორი.
მოკამათეს ველარ სცნობდეთ,
ჩამოგენგრათ პრესის ჭერი,
მომაკვდავის „აბდა-უბდა“
აღარ არის დასაჯერი.

დაფნისი და ქლოია.

„სამშობლოს“

ვაი ქვეყანას მოძულებულსა,
ყველა თვისკენ სწევს სამშობლოს ბედკრულს,
მარა ვისა არგებთ თქვენ იმითა
რომა ინახავთ გაზეთებს შეკრულს?!

ხუნაგი.

გ ზეთ „სამშობლოს“

არსებობ, აღარც არსებობ,
შემოგზავევია გარს „მღილი“,
ხან „ბითური“ ხარ, ხან „რაღაც“,
ხან, ვითომ, „მამულიშვილი“.

დაფნისი და ქლოია.

ვაჭრებს

ვმალეთ, ვმალეთ, ვყიდეთ, ვყიდეთ
და მოგება სახლში ვზიდეთ.

ხუნაგი.

ვაჭრებს

ინეტარეთ, იმეჯლიშეთ,
დღეს თქვენია ბენეფისი,
ხალხი სძარცვეთ, ხალხი ყვლიფეთ,
კვლავც გასტენეთ დახლი თვისი.
თქვენი კრძალვა, თქვენი რიდი
ბელზებელსა აბარია,
ნიხრი თქვენთვის დაწერილი.
გასართობი ზღაპარია

დაფნისი და ქლოია.

სათავად აზნაურო გიმნაზიას

ქართულს ვასწავლით, რუსულათ ესმით,
რუსული კიდევ ქართულათ უნდათ
და რისთვის გიკვირთ, როცა შეგირდნი
ლაპარაკობენ და სწერენ ბრუნდათ.
ჩვენ სად გვცალია მასწავლებლებსა:
ზოგს მაღაზია წიგნის აქვს ბაზრათ,
ზოგი თეატრის რეჟისორია
და ვის მოუვა ის თავში აზრათ,
რომ არ ვასრულებთ მოვალეობას
სამშობლოისა წინაშე წმინდათ?
მაშ რაღას სწუხართ, მეტი რა გინდათ?

სათ.-აზნაურო ბანკს

როცა კრება გაქვთ წლიური
ორ ბანაკათ გაიყოფით,
ომი არის გამართული
ხმალით, კეტით, ტყეიით, თოფით,
მარა როცა დასრულდება
საარჩევნო მანევრები,

---

*) ნულები მას ღაღადებენ,
რომ მუნ საქმე „პრუწათ“ არის.
(ცხადია, მათ მოსდის ეგრე,
ვინაც მოყმეა ქანქარის!)

დაფნისი და ქლოია

ბანკის კასას კვლავ ერთგულათ
ახვევია გარს წევრები.

თეატრს

გარეთ შეგთითხნეს თეთრი კირითა,
შიგან სკამები გამოგიცვალეს,
(ერთში მოგიხდა ის დღე წყეული,
როცა ფულები ყველამ ივალეს
და „საკულტურო“ არჩევნებისთვის
ზომაზე დიდათ მეტი იწვალეს).
თანაც ფაღავა რეჟისორათ გყავს,
ლექტორი ბრის სახელგანთქმული,
(ერთ მის ლექციას სათაურათა
ასი სახელი რო აქვს დათქმული.

„კოოპერაციას“

პური—შაქარი, შაქარი—პური,
ამ ხმ:მ წყეულმა წაიღო ყური.

შავი ქვის საბჭოს

აბაშიძე და ბაქრაძე,
მდივანი და კრინიკკიო,
თუ რა ხდება დღეს საბჭოში
ეგ დიახაც კი ვიციო:
კიტა იჭერს დიდსა ვირთხებს,
მას იასონ ეხმარება,
ხოლო საშას და დათიკოს
კასის თაგვნი ეჯავრება.

ინტელიგენციას

წინეთ ფუსფუსი ვიცოდით,
ეხლა ისიც დაგვავიწყდა:
ძილი, ძილი, მარად ძილი,
რა ტკბილია ესე ხილი...
ქალი მიდის ეგერ წყვილი,
უნდა გავკრა ერთი კბილი.

ხუნაგი.

ბულვარიხტებს

თეკლეს ახალ წელს ვულოცავ,
მატრონას ხუნტრუცობასა,
ლიზიკოს—„პრაპორშჩიკების“
ასობით კვლავ გაცნობასა...
იცელქეთ „პაჟალუსტებო“,
იჩიქორთულეთ მარადა,
იქაქანეთ და იგრიხეთ
ქალაქის ბაღის კარადა.

დაფნიხი და ქლოია.

ბეითლებს

საქონლის ექიმს გიწოდებს
სოფლელი გლეხი კაცია,
გინდ თქვენ მოგიკლავთ ხარები
და გინდ ჭირს მოუტაცია.

აგრონომებს

ლურჯი ქუდი, მწვანე კანტი,
კოკარდები ორი წყება,
ფოლაქები დიუჟინი
საქმის კი სულ მივიწყება.

ხუნაგი

ქალ. ხანიტრებს!

ყოჩაღ ბიჭებო!, რომ ვარგხართ
ეს ყველასათვის ცხადია,
იძურწეთ სამიკიტნოში
იქ არს ღვინო და მწვადია,
სჭამეთ, ითვერით, იჭიპრეთ
ქალაქს რათ უნდა თვალ ყური,
იკურთხოს იმის მარჯვენა
ვინც გამოსწურა კახური!..

„რეგულიატორ“ გაბილაიას!

„კოპერატივს“ წინ უძღვიხარ
„შესამჩნევი“ ორატორი,
და შექმენი ქუთაისში
მისთვის „რეგულიატორი“,
რაღაც ხმები თქვენზე ისმის,
„და არც არი ვგონებ ჭორი!

სახ. უნ. გამგეობას!

სადაც მუშის ხელი მხნეობს,
სად მან როლი ითამაშა,
ყველგან საქმე წინ-წინ მიდიოს,
იდღეგრძელეთ... ვაშა, ვაშა...

გუცას!

როდესაც ბედაურები
წყდებიან, იხოცებიან.
ხომ იცი მოედანზედა
რა ცხოველები ჩნდებიან...
თორემ სად შენ და სად კიდევ
კალამი პუბლიცისტისა?
შენ უფრო შეგშვენს გია ჯან
დაჭერა ხელში „ხლუსტისა“!.

ია ეკალაძეს!

ცვალებადი ხარ, ვით მარტი;
შლეგი და დაუდგრომელი,
დღეს „პეტრეს“ ფიცავ, ხვალ “პავლეს“
მითხარი ვინ გწამს, რომელი?!.
ახალი დრამა ვისმინეთ
სჩანს რომ კვლავ მახსოვს მშრომელი!...

გრ. ლაღიძეს

გრიგოლ იოსტლე, გილოცავ
აზარფეშათი ღვინოსა,
დეე „მეგობრის“ ფურცლებზე
ლაფშამაც იბრიგინოსა!

დაფნიხი და ძლოია.

ფუტურისტებს

პაოლო და დარიანი
შეზარხოშდენ გვარიანი
და რუსეთელ ფუტურისტებს
ღვინო ასვეს ძმარიანი.
კიტა, ქეიფს რომ თაობდა,
ფუტურიზმთან ხომ დაობდა.

ხუნაგი.

ფუტურისტებს

ბინძური მზე—სილამაზე,
დავაყარე სილა—მაზე,
მოგიძღვენ და შეგთავაზე!..

დასასრული

ჩემო მკითხველო! ახალ წელს
იყავით განახლებული,
მარად იკითხე „მათრახი“
მწარ-ტკბილათ შეზავებული!..
რომ მხიარული სიცილით
სპობდე ხალხისთვის ურგებსა:
მოყვარეს გულში იკრავდე
მტრებს კი უწვავდე ზურგებსა...

დაფნიხი და ქლოია.

დრამატიულ საზოგად.

ჰამლეტ გედევანიშვილი. ყოფნა, არ ყოფნა!
საკითხავი აი რა არის

ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲐ

(საახალწლო)

პატარა ცხოველი არის...
(სისწრაფით არ ნადიდები.)
უყვარს მდინარის ნაპირი,
აყრილი ჭალა, დიდები.
ზურგს ძვლის ჯავშანი ადგია
ჭადრაკულ დანახაზავი,
(საქმე ვერ იზამს ხეირსა
მსვლელობით მისი მბაძავი!)
ავიღოთ სრულად. გვჭირია
თავიან ბოლოიანა.
(იგი ვერ ახსნის შარადას,
ვინც უკვე დაიგვიანა.)

—

სასმელი გახლავთ—მეორე.
დღეს მიტომ არ ვეძალები,
რომ მთავრობისა ჩვენისგან
გვაქვს სასტიკ ანაკრძალები.
ცოტა სიმწარე დაჰყვება
სიმაგრე შენამტკირებსა.

(მუცელსაც წამოუსივებს
მის მოტრფიალე პირებსა)
ნახევრათ მოვსვათ ეგ სითხე
თავზე ქაფ მოკიდებული,
ხოლო შარადას შევსძინოთ
ჭიქისა ძირათ დებული.

—

უკვე მზათ არის შარადაც!..
ხედავთ რა ჩქარა აიგო?
(მათრახის კუდის ღირსია,
ვინ ჯერაც ვერრა გაიგო!)
წინეთ ხარს ება, ვირს, ძროხას,
(ზოგჯერ ქალებსაც ჰშვენია,
ზაფხულის მტვრიან ქუჩებში
კორიანტელის მდენია.)
დღეს, ვინ არ იცის, საოცრად
გამოიცვალა დროება...
და სამკაული ეგ ტურფა
ლამის ყველაფერს მოება.
შეხედეთ ფურნეს!.. საბრალო!..
ცოდო შეჰყრია დიდია...
მას იგი განძი ცხოველთა
ერთობ უზომო ჰკიდია.
დუქანს შეხედავ საშაქრეს,
და აგიცრემლებს თვალებსა:
მასაც ისეთი აბია,
რომ გულქვაც შეიბრალებსა.
სადგურში მიხვალ, თეატრში.
(სადა ბილეთებს ჰყიდიან,)
უზომოთ დაგრძელებული
აქაც და იქაც ჰკიდიან.
სად წახვალ, იგი არ ნახო
დიდ მანძილ დანაკავები?
გარს ევლებიან ფუსფუსით
ქალაქთა ჩვენთა თავები.
მაგრამ არა სჩანს საშველი
იზრდება საათობითა...
იმას სხვა ხერხი სჭირია,
ვერ მოსპობ ხმლით და თოფითა.

კოლო.

სამტრედიის რაიონი

ი ა ნ ვ ა თ ს

ბრძოლა ჯერაც არ შემწყდარა
„სამკითხველოს“ ფრონტზედაო.
ნიკო სჯობნის თუ ილია
ჯახი გვაქვს ამ ორზედაო.

ს ა მ ტ რ ე დ ი ა

(„დახმარებას)

პურით და შაქრით განსაზღვრე
უმეტეს შენი ქონება...
(თუმც „არა ერთის პურითა
იქნების კაცის ცხონება“)

წ. კ. ადგილობრივ განყოფილებას.

არ გისურვებ „ცოცხის იგავს“
(ახალი რომ კარგათ ჰგვიდე.)
ჰხამს ჭირთაგან ვაქკაცურის
გამარჯვებით გამოხვიდე.

ვაჭართა ბანაკს

ბანკში ფული შემინახავს
„ვამო, გამო გიშერაო“
ყაჩაღებმა თუ გამიგეს
ხომ დამტოვეს შიშველაო!

საქვ. საზოგ. განყოფილებას

ქველმოქმედება თუ კია
ის თქვენ გჭირია ყველაო.
საქმენნი თქვენნი ვლიდიან
უზომო ნელა-ნელაო.

რკინის გზის კლუბს

წევრები შემოგელია,
ქანქარიც ერთობ ქრებაო
საქმეს რას უზამს მარტოკა
„კარტოუნიკების“ კრებაო.

დეპოს უფროსს

ჯერ „მუზიკანტი“ ვიყავი
ხაშურს, ოპერის კაცია,
სამტრედიაში ჩამოველ
და გავხსენ კოპერაცია.

მასწავლ. კავშირის გამგეობას

იავ ნანა, ვარდო ნანა,
იავ ნანინაო.
დაიძინე გენაცვალე,
ნუ წახვალ წინაო.

ოცისთავებს

ამბობენ, რომ ენერგიას
თქვენ ვერავინ დაგიწუნებს,
ვინძლო კრიჭა გაუკავოთ
მაგ შავრაზმელ ქალაჩუნებს,

მეგობრის კორესპოდენტებს

გისურვებთ, რომ ასში ერთი
იყოს მართლად ნაუბარი.
„მეგობარსაც“ შეაწუხებს
წუმპე თქვენგან ნაგუბარი.

საღლესასწაულო ნატვრა

ქართველს ნატვრა ძლიერ უყვარს,
პირში იყოს, გინდა ლხინში,
მაგრამ პირში რამ ინატროს,
აგი არც კი გეემტყუნება.

სოლ. ზურგიელიძე.

1.

ფეხშიშველი ვიარები,
არც ტანზე მაქვს, არც მაქვს ბინა,
საზარ ომმა ჯამაგირის
სიცოტავე მაგრძნობინა,
რა ვქნა, ველარ აუთავდი
სახარჯავებს ყოველდღიურს,
გულის ძგერით ველოდები
„პრიბავკებს“ და ტურფა „დღიურს“.
ოხ, მგოსანი... მაინც ვიყო,
რომ ოცნების დავდგა კოშკი,
ან და იმავ ოცნებითა
შევქმნა წყვილი „პოლსაპოშკი“,
უბინაოთ, უფეხსაცმლოთ
ვინ გაიტანს სულს ამ დროში,
(წაღებს მაინც ვერ ვიყიდი,
თუნდ ათასიც მქონდეს გროში).

2.

ჩაის ხშირად მაინც ვსამდე,
რომ მალ-მალე შევთბე ტანში,
რაით დალევ? შაქარს ვერსად
ვერ იშოვნი აქ დუქანში.
თუ იშოვნე თვეში ერთხელ,
გირვანქაა, ისიც ფხვნილი,
„პრიკუსკათა“ ჩაის სმაში,
რა ვქნა, არ ვარ გამოწრთვნილი,
წინეთ—ძველათ, კვნიტი შაქრით
„პრიკუსკათ“ კი ვსვამდი მგონი,
ეხ, კვნიტ შაქარს ეხლა ვერ ვსჭვრეტ,
როგორ გაქრენ ძველი დრონი?!!
იქნებ ვინმემ სიძვირის დროს
მოახდინეთ გამოკვლევა,
გკითხავთ: ჩაი ფხვნილი შაქრით
„პრიკუსკათ“ თუ დაილევა?!

3.

გევედრები ჯოჯოხეთო,
გთხოვ შემქმენი უხილავი,
რომ ფურნესთან დილით ადრე
წინ ამოვყო უცებ თავი,
და სიმშილით ძალმიხდილმა
დროზე ვიგდო ლუკმა პური,
და მასთანვე ავიცილო
მუჯლუგუნი და პანღური.

4.

ბოლოს ამას ვინატრებდი:
ღამით ვიყო კატა ჭრელი,
რომ ჩემ თვალთა სხივთა ხმლებით
ბნელ-წყვდიადის იყოს მჭრელი,
და როდესაც ექვს საათზე
დაბნელდება მთლად ბათუმი,
კუჩებში არ შევამტვრიო
უცაბედათ ხეს ხორთუმი,
(ხორთუმი სპილოს ცხვირს ჰქვიან,
რა ვქნა, თავი მეცოდება,
მაგრამ ზოგი კაცის ცხვირსაც
ეს სახელი ეწოდება).

მაინც მიყვარს მე ბათუმი,
ლამაზია, წყნარი, ჩუმი,
გადავსწყვიტე არ მოვშორდე,
ვიქნე მისი კვლავ ქურუმი.

ლუკაიეს ჯგოლი.

თფილისის საოპერო დასს.

სამ მომღერალსა გისურვებთ წყებათ
დასისა თქვენის სრულ შესავსებათ.

ჯიათურა

კოოპერ. საზ. გამგეობას

გისურვებ, რომ ყოფილიყო
გარე ყველა დასობისა
და მალე არ მიგკლებოდეს
პური ჩვენი არსობისა.

დრ. საზ. გამგეობას

თეატრი გამოიხურა,
თქვენ კი უმზერთ შორიდანა
კაცმა საქმე რომ მოგანდოთ
ასე უნდა მოვლა განა?!

სახალხო უნივერ. გამ.

დიდია ხალხის წინაშე
თქვენი შრომა, თქვენი წვლილი,
განახლების გზას აღგიხართ
თუ არ მოგერიათ ძილი.

კლუბს

ქვეყანა რომც გადაბრუნდეს
არ ჩაიგდოთ გულში დარდი.
იქეიფეთ. აჩხრიალეთ,
ბილიარდი, კარტი, ნარდი.

უმაღ. პირვ. დაწ. სკ. მოწაფეებს

ვითომც თქვენში ორი კვირა
კლასს სცდებოდეს ინსპექტორი?
გეფიცებით, ალლახს ჩემსას,
ტყუილია, არის ჭორი.
ან თუ ვითომც ათენებდეს
ხშირათ კლუბში ღამეებსა?
არ გაბრიყვდეთ, არ ირწმუნოთ,
არ ჩაიდენს ამეებსა.

ვაჭრებს

არ გაძღება თქვენი გული
იარსებებს თუ კი ფული,
სძარცვეთ, ჰგლიჯეთ, სწიწკნეთ ხალხი,
სანამ ედგეთ პირში სული.

ორ მღვდელს

ევროპაც რომ დაშოშმინდეს,
განაწილდეს მიწა-წყალი,
მაინც თქვენ ვერ მორიგდებით,
არ გაძღება თქვენი თვალი.

ექ. კ—ს

ვინ ხირურგი, ვინ ჩარჩობა,
კვერცხები და ერბო-ყველი,
გისურვებთ რომ საქმისათვის
მოგეკიდოს მტკიცეთ ხელი.

საავადმყოფოს

მინდა რომ ვსთქვა აგი, იგი,
და მით გული შავიჯერო,
მაგრამ მაროს ქების შემდეგ
რაღა ვსთქვა, ან რა დავწერო!

X.



ჩვენს დრამატიულ ტაძარსა „ტარტოს“
ამ ოთხ „ნიჭიერს“ მივუძღვნით მარტოს.



კახეთის რკინის გზას.

აჩქარებითო სოფელი
არავის შეუპამიაო
ნელა წავალთ და ქე მიგვალთ
გზაში თვარ დევიმტვერითო.

სოლ. ზურგიანელიძე.

რედაქტორ-გამომც. **თ. ბოლქვაძე.** ნებადართულია სამხ.ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გამავალის ფასი